

1936

საქართველოს
ბავშვთა ჟურნალი

პიონერი

1936

№2





„კიოსნეკი“

საბ. ა. ლ. კ. კ. ცეძასა და

საბ. განსახორციელებელ მეთოდურ

ური ჟურნალი

№ 2

თებერვალი—1936

წელიწადი მ-11

საბ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის გამომცემლობა

„კომუნისტი“

რედაქციის მისამართი: გრიბოედოვის ქ. № 34

ტელ. № 3 02 61

შ ი ნ ა ა რ ს ი

1. ჩვენც 15 წლისანი ვართ (ლექსი)—მ. მიქელაძისა	1
2. ორდენოსანი—შ. თაბუკაშვილისა	3
3. მამლაქათი—ღარბინიანისა (თარგმ. სომხურიდან)	4
4. მეთორმეტე—ელ. ა-ძისა	8
5. ალონს სანტიაგო—დ. შამათავასი	10
6. ერთი ვადარჩა—ღაფრენტი ჭიჭინაძისა	12
7. სერგეი კიროსი (ლექსი)—პეტრე გვიგერიასი	9
8. ფუტკრების წრომადღებები (ლექსი)—გ. აროსიასი	14
9. ვასილ ჩაპაევი—შ. გვინჩიძისა	15
10. მდინარე ნილოსი—შ. შარიაშვილისა	17
11. რომენ როლანი—ლადო გუგუშვილისა	20
12. მამალი და მელია—ზლაპარი ჩაწერილი ნინო ნაკაშიძის მიერ	21
13. ირმის კული—ლევენდა ჩაწერილი გ. ლომთათიძის მიერ	23
14. ტყის მოცეკვენი—გადმოკეთებული გერმანულიდან გ. კახიანის მიერ	24
15. გასართობი	ყლის 3 გვ.
16. მერცხალი—მუსიკა გ. კოკელაძის, სიტყვები შ. მღვიმელისა	ყლის 4 გვ.

ჟურნალი გაფორმებულია მხატვ. ელ. ახვლედიანის, ი. ქოქიაშვილის და დ. ნაცვლიშვილის მიერ. გარეკანის მონტაჟი მხატვ. ქოქიაშვილის.

პ/მგ. რედაქტორი. მ. თოგაძე

პ/მგ. მდივანი: ელ. აბლაძე

ჩვენს 15 წლისანი ვართ

ხუთმეტი წლის საქართველოს
 მოსთან ძროგა გაუზავს.
 ჩვენც 15 წლისანი ვართ,—
 ლენინური თაობა!
 ჩვენ მოვივით უხვ მოსავალს,
 ლენინისგან დათმულს,
 ვსწავლობთ, გვინდა შევასრულოთ
 დიდ ლენინის ანდობი.
 მოგვაქვს დროშა ლენინური
 სიხარულით ნაქარბი,
 რა ლაღია ეს სიცოცხლე,
 რა ქარბი!
 მოვალთ მტკიცე ნაბიჯებით,
 ლენინიერი ხელებით,
 მოგვალი კილოვებით,
 დიდ საფუძვლს მცველები,
 მოგვალი ინჟინრები,—
 მცნებებთა არმია.
 ჩვენი სიტყვა ჭუხინია
 და მუხლები ძარბა.
 მოგვაქვს დროშა ლენინური
 სიხარულით ნაქარბი,
 რა ლაღია ეს სიცოცხლე,
 რა ქარბი!
 გავიწარლებით და ჩვენს მამებს
 დავუდგებით მხარდახმარ,
 ჩვენ არ ვიცით ჩამოშლება,
 ჩვენ არ ვიცით გადახრა.
 ხუთმეტი წლის საქართველოს
 მოსთან ძროგა გაუზავს,
 ჩვენც 15 წლისანი ვართ,
 ლენინური თაობა!
 მოგვაქვს დროშა ლენინური
 სიხარულით ნაქარბი,
 რა ლაღია ეს სიცოცხლე,
 რა ქარბი!

მ. მიქელაძე

ხურათზე — ფრიაღოსანი პიონერები: ნ. ედენ-
 ტო, ვ. ალაღაშვილი, შ. გაკოშიძე,
 ო. ლუტიძე, ო. ჯაფარიძე და
 კ. ჯაში.



1850



მ რ ღ ე ნ ო ს ე ნ ი

ორდენოსანია საბჭოთა საქართველო.
ხუთმეტი წლის გახდა ის. შვენი მის კულ-
მეკრდს სუბტროპიკული მცენარეები.
ჩაის ბუჩქები დარაზმულან და საქართველოს
სალამს უძღენიან ფერდობებიდან.
აგერ რამი—ჯინჯარი, რომელიც იძლევა
მშვენიერ, აბრეშუმის მსგავს ქსოვილებს.
აგერ გრეიფრუტიც—საბჭოთა საქართველოს
ახალი სტუმარი.
შემოსევიან საქართველოს სუბტროპიკული
მცენარეები.
ყოველწლიურად ახალ ახალ ფართობს იპყრობენ.

ეს რა გუგუნია, რა ფუსფუსია?
ვინ შესეგვია ვაუვალ ქაობს, სადაც ისმოდა
ბაყაყების მძლავრი კონცერტი?
აქაც, იქაც—ყველგან მუშაობს ექსკავატორი.
ისმის გრიალი. ამონალი ააფეთქეს, არღვევენ
მიწას, ვაჰყავთ არხები...
კვდება ქაობი, კვდება ციება ფერგაცრეცი-
ლი...
მძლავრად ძვერს ორდენოსან საქართველოს
გული!

საუკუნეების განმავლობაში უსაქმურად, უდარ-
დელად მოაგარებდა ტალღებს მტკვარი.
თავაშვებული მოდიოდა მძლავრი რიონი.

მოიმღეროდა მთის კალთებიდან უქნარა ხრამი.
ბოლო მოვლო უკვე იმით უსაქმურობას.
რა მძლავრი, რა მედვარი ყოფილა წყალი!
წყალი—ანათებს!
წყალი—კურნავს!
წყალი—ტეირთს ზიდავს!
წყალი—ამოძრავებს ფაბრიკა-ქარხნებს!
წყალი—ტრამეიას ძალას აძლევს, დაასრია-
ლებს კობტა ელმავალს...
ხუთმეტი წლისაა საბჭოთა საქართველო, და
რა სწრაფად გაიზარდა იგი!

ინდუსტრიამ აიღვა ფეხი, გაშალა ფრთები.
ბოლავს ქარხნები...
დღითიღვე იზრდება სტახანოველთა რიგები...
სახე შესვლია ძველისძველ ტფილისს, ახალ-
ახალი ფაბრიკებით ამაყობს 'იგი
აი ქუთაისიც—წინათ მიგდებულ-მივიწყე-
ბული, დღეს კი ინდუსტრიალური ქალაქი.
ახალციხე გაგულუხვდა—დიატომიტს იძლევა
იგი.

გვაქვს ანდგიტი...
მარმარილო....

აღარ გეკირდება ნავთის მრეწველობისათვის
ამერიკული ფლორიდინი—მის ადგილს იჭერს
ჩვენი გუმბრინი.



ყველგან ძიებაა—ეძებენ მილიონი წლობით
 მიწის წიაღში მიმალულ სიმდიდრეებს,
 სიხარულით უვლავს თვალები ორდენოსან
 საქართველოს.

* *

გუგუნებს ტრაქტორი, აბრუნებს მიწის გულს.
 მოისპო შიჯნები. ღელავს საკოლმეურნეო მინ-
 დერები.

ზღვად გამსკლარა მოსავალი.

კომბაინები ესტუმრენ მინდვრებს,

შეძლებულნი გახდენ კოლმეურნენი. საამურია
 ცხოვრება საბჭოთა საქართველოში.

* *

ორდენოსან საქართველოს წინ უძღვის მისი
 მესაქე, —გამობრძმედილი, შეუღრეკი, მტკიცე
 მოწაფე დიდი სტალინის—ყოველი ფრონტის
 გამარჯვებათა დიდი ორგანიზატორი, ორდენო-
 სანი აშხ. ლ ა ვ რ ე ნ ტ ი ბ ე რ ი ა .

გამჭრიხი თვალით ზომავს ყველაფერს.
 რა ბედნიერია ხუთშეტი წლის საქართველო!..

* *

— ვის ატარებენ არა ხელით. არამედ გუ-
 ლით?

— ვის შეჭყურებენ სასოებით და გატაცე
 ბით?

— ხალხთა მეგობარს, დიად ბელადს, კლდე-
 სავით მდგარს—შმობლიურ ს ტ ა ლ ი ნ ს .
 25 თებერვალია.

ისმის მძლავრი გუგუნეი.

საბჭოთა საქართველოს მშრომელნი მდერიან
 —ღღეგრძელობდეს ხალხთა დიდი მეგობარი
 ს ტ ა ლ ი ნ ი...

და ეს სიმღერა ეთერს შიაქვს ყოველი კუთ-
 ხით.

ორდენოსანი საქართველო ზეიმობს.

შ. თაბუკაშვილი.



მ. ღარბინიანი

მამლაქატი

1

მოსკოვის სადგური მორთულია წითელი დროშებით, ნორჩი ყვავილებითა და მწვანით.

სადგურზე ბევრი ხალხია. საბჭოეთის დიდი დედაქალაქის საუკეთესო დამკვერელი მუშები მოსულან სტუმრების დასახვედრად.

ზარმა ამცნო, რომ მატარებელი გამოვიდა უკანასკნელი სადგურიდან და საცა არის ადგილზე მოვა. დასახვედრად მოსულნი გადავიდნენ ფართო პერონზე და მიაშტერდნენ იმ მხარეს, საიდანაც ორთქლმავალი უნდა გამოინელიყო.

აი, ისიც, ორთქლმავალი. გადაულახავს ათასობით კლომეტრები და ქშენით სადგურს უახლოვდება.

პერონზე დაუკრა სასულე ორკესტრმა, რომლის მისასალმებელ მხიარულ მოტივს შეუერთდა ხანგრძლივი „ვაშას“ შეძახილები.

ვაგონების ფანჯრებში გამოჩნდნენ მხიარული სახეები, რომელთა შეძახილებიც შეუერთდა დამხვედრთა „ვაშას“

მგრკინავმა შეძახილებმა შეძრა სადგური, მატარებელი გაჩერდა.

ვაგონებიდან გამოვიდა სხვადასხვა ჯურის ხალხი. მათი ტანსაცმლის თვალმოპყრელი ფერები ერთიმეორაში ისე არეულა, თითქოს ცის-რტყელა ბრწყინდესო, ან კიდევ მზეს ახლად ამოუყვია თავისი ოქროსფერი ხუჭუჭა თავით. სადგური ილიმეოდა.

სტუმრების ჯგუფი ქალაქისაკენ გაეშურა. ისე გეგჩენებოდა, თითქოს ერთი მოვლვარე ყვავილნარი მოღასო. აღმოსავლეთი ჩრდილოეთის სტუმრები.

აი ისინი, სტუმრებს რომ ვუწოდებთ, ტაჯიკისტანის და თურქმენისტანის მოწინავე კოლმეურნე ქალები და მამაკაცები.

მაგრამ აი, უფროსების წინ მიბიჯებს ერთი ბავშვიც, თერთმეტი წლის გოგონა. ვინ არის? ნუთუ ესეც მოწინავე კოლმეურნეა? თუ მშობლებმა ჩამოიყვანეს ეს პიონერი გოგონა?

პატარა მიბიჯებს ამაყად, გამარჯვებულად. მედიდურად. მას გულში ჩახუტებული აქვს რაღაც წიგნი.

აი მიუახლოვდა ერთი მუშა, აიყვანა და ჩაიკრა ეს შევგვრემანი გოგონა.

— რა გქვია, პატარავ?

გოგონამ ვერ გაიგო შეკითხვა, რუსული არ იცის. დიდრონიებიდან ერთი დეცხმარა და უთარგმნა. გოგონამ გაბედულად უპასუხა:

— მამლაქატი მქვია.

— მამლაქატი? რას ნიშნავს მამლაქატი, ასეთი სახელი პირველად მესმის.

მთარგმნელი უხსნის, რომ მათ ენაზე მამლაქატი ნიშნავს ქვეყანას, სამშობლოს.

მუშა გაეხუმრა გოგონას.

— მამლაქატი მამლაქატი, მაგრამ შენ რაღა მამლაქატი (ქვეყანა) ხარ?

მამლაქატი ყურს უგდებს თარგმანს, ფიქრობს, ილიმება და ივანებს რა რუსულ სიტყვას, სიცილითა და წკრიალა ხით წამოიძახებს:

— სავეცკი მამლაქატი.

მუშა ვახარებულა, მაგრამ მივირავს გულზე და ჰკოცნის „სავეცკი მამლაქათს“ საბუთო ქვეყნის თვალღებში.



— ერთი-ორი დღის შემდეგ მთელმა მოსკოვმა იცოდა მამლაქათის შესახებ. იცოდა, რომ ის არა თუ შშობლებთან ერთად ჩამოსულიყო, როგორც სტუმარი, არამედ სწორედ თვითონ მოწინავე კოლქებურნი იყო, რომ, სასკოლო არდადეგების დროს, სოციალისტურ მინდერებზე უფროსებთან თანაბრად ზოგჯერ მათზე მეტი მამბაც მოუტყუებია.

მამლაქათს სურათს უღებენ, წერენ მის შესახებ გაზეთებში, ბეჭდავენ მის ფოტოგრაფიებს, ის უყვართ, თავს ევლებიან.

ბენდიერად გრძნობს თავს მამლაქათი, მაგრამ ყველაზე დიდი ბენდიერება ჯერ წინ არის.

მამლაქათი ზის დიდ და გაჩირალდნებულ დარბაზში. ასეთ დარბაზს ის პირველად ხედავს. დიდრონები ამბობენ, მღელ მოვა ამხ. სტალინი ი. ელიან მოუთმენლად, ღლის მამლაქათიც, თან უფრო მაგრა იკრავს გულში წიგნს, რომელიც ხელში უჭირავს.

ერთბაშად დარბაზი შეიძრა. ყველა ხმაურობს, ტაშს უჭრავს. მუსიკა უფრო აძლიერებს აღფრთოვანებას. მამლაქათს ჰგონია, რომ დარბაზის კერი ჩამონგრევა ამ მექუხარე შეძახილებსაგან. სცენაზე თვითონ ამხანავი სტალინი, რომლის შესახებაც ძალიან ბევრი რამ გაუგია მამლაქათს და რომელიც მაშინვე იცნო. იღიმიება ამხანავი სტალინი, თავს უქნებს, ესაღმება ყველას. ტაშისცემა და შეძახილები თანდათან ყველამ. დარბაზი წყნარდება.

მამლაქათი ფიქრობს, რომ ახლა ყველაზე კარგი დროა მივიდეს ამხანავ სტალინთან და გადასცეს თან ჩამოტანილი წიგნი ტაჯიკურ ენაზე. ასეც იქცევა.

რაწაშს მამლაქათი უახლოვდება ამხანავ სტალინს და აწოდებს წიგნს, დარბაზი კვლავ გრიალებს. იგივე შეძახილები, იგივე ტაშისცემა, იგივე მუსიკა.

მამლაქათი კრთება, მაგრამ ის ამ უხერხული მღვთაობიდან მაშინვე გამოყავს თვითონ ამხანავ სტალინს, რომელიც წიგნს ართმევს, თავზე ხელს უსვამს, ეალერსება პატარა მამლაქათს, ისევე თავისთან და პატარა ოქროს საათს უკეთებს ხელზე. შექმლო მამლაქათს თავის სიცოცხლეში ამაზე ბენდიერი წუთები წარმოედგინა?! დიდმა სტალინმა თვითონ, თავისი ხელით, პატარა მამლაქათს საათი უსახსოვრა!

კვლავ მექუხარე ტაში, კვლავ ვაშას შეძახილები, კვლავ მუსიკა.

მამლაქათი ამ დღის ერთგვარი გმირი გახდა. მას მოსვენებას არ აძლევენ გაზეთების თანამშრომლები, ფოტოგრაფები, სადაც კი მიიტანენ—სახლში, ქუჩაში, ავტოში ჩაჯდომისას—მოკლედ ყველგან გამოიკითხვას უწყებენ, სურათს უღებენ, წერენ მის შესახებ.

მამლაქათი იმდენად გახარებულია, რომ ვერც კი ამჩნევს, თუ როგორ გადის დღეები... მაგრამ დასანანია, რომ სულ დიდრონებთან არის, მისი ტოლები, პატარები იქ არ არიან, რომ იმათთან ითამაშოს, ან უამბოს თავისი ბენდიერების შესახებ. ნუთუ მოსკოვში არ არიან ტაჯიკი ბავშვები, რომ მამლაქათი ელაპარაკოს და ეთამაშოს მათ? მართალია, აქაურ ბიჭონებს ხშირად მიჰყავთ ის თავითან, მაგრამ მამლაქათი იმათთან თავისუფლად ვერ ლაპარაკობს, ერთმანეთის არაფერი ესმით. ამის შესახებ მამლაქათმა უთხრა ოლულ-ბიბის—თავისთან კოლმეურნეობის დამკერველ კოლმეურნე ქალს, რომელიც თათბირზე ჩამოსულიყო.

ოლულ-ბიბიმ უთხრა ტაჯიკ ბავშვებს გიპოვიო, და აი ერთ საღამოს, როცა მამლაქათი ემზადებოდა კვლავ დიდ და გაჩირალდნებულ დარბაზში წასასვლელად, სახლის კართან გაჩერდა ავტო, რომლიდანაც გადმოვიდა კარგი შეხეულულების კაცი და ტაჯიკურ ენაზე მიმართა მამლაქათს:

— საყვარელო მამლაქათ, წავიდეთ ჩვენსა, ჩვენ სახლში ბავშვები არიან, შენთან ილაპარაკებენ, გეთამაშებიან.

— კარგი, —უთხრა მამლაქათმა, —მაგრამ ოლულ-ბიბიც წამოვიდეს ჩვენთან ერთად, დედამ მითხრა ოლულ-ბიბის არ დაშორდყო.

— ძალიან კარგი, ოლულ-ბიბიც წამოვიდეს, —უთხრა კაცმა.

ჩასდენ ავტოში. უცნობი კაცი შოფერთან დაჯდა. ოლულ-ბიბი, ვინ არის ეს კაცი, რომელიც ასე კარგა ლაპარაკობს ჩვენს ენაზე, მაგრამ სხვანაირი ტანისამოსი აცვია?

— ეს ჩვენი სახალხო მოციტი ლახუტია, —უპასუხა ოლულ-ბიბიმ. ამის სახელი ეწოდება ჩვენს კოლმეურნეობას.



ოლულ-ბიბი და მამლაქათი შევიდენ იმ ოთახში, სადაც აბანო იყო.



მესათე მოვიდა, გაწმინდა საათი.

მამლაქათმა იცოდა, რომ მათი კოლმეურნეობა ლახუტის სახელობისაა, მაგრამ თვითონ ლახუტი არ ენახა. მისი სიხარული უფრო გაორკეცდა, როცა თვითონ ნახა ლახუტი.

ამხანაგ ლახუტის სახლში მამლაქათს მიეგებნენ ლახუტის ცოლი და ორი ბავშვი. უფროსი ოთხი წლისა იყო.

მამლაქათმა პატარებს უამბო, თუ მას როგორ უსახსოვრა ამხანაგმა სტალინმა საათი. საათი ყურთან მიუტანა მათ, რომ გაეგოთ მისი წიკწიკი, ბოლოს დაჰპირდა—თქვენც გასწავლით ორი ხელით ბამბის კრეფასო.

ლახუტის სტუმართმოყვარულ ცოლს დაევალებინა აბანოს მომზადება, რათა მამლაქათი ძილის წინ გაბანებულიყო.

მამლაქათმა სთხოვა, ოღულ-ბიბინაც ჩემთან იბანოსო. უარი არ უთხრეს, მაგრამ... როცა ოღულ-ბიბი და მამლაქათი შევიდნენ იმ ოთახში, სადაც აბანო იყო, ლახუტის მოესმა რაღაც ყვირილისა და უთანხმოების ხმა. მიუხალოვდა კარს და ცოლს ჰკითხა რა ამბავიაო.

ცოლმა ღიმილით უპასუხა:

— მამლაქათი არ გეთანხმდება საათი მოგხსნათ ხელიდან. ამბობს, ამხანაგმა სტალინმა გამიკეთა ხელზე, ასეც უნდა დარჩესო.

— კარგი, დარჩეს, არა უშუეს, დე, საათმაც იბანოს, მამლაქათს ნუ აწყენინებ, თორემ თვითონაც აღარ გაებანე ა, —უთხრა ლახუტემ.

დაე გადაწყდა.

მამლაქათი აბანოში ახლად შესული იყო, რომ ზარი დარეკეს. ლახუტემ გააღო კარი.

კარებთან იდგნენ იმავე სახლის ეზოში მცხოვრები პიონერები, 10 ბავშვი, რომელთაც ვაგეოთ, რომ მამლაქათი ლახუტის სახლშია, და სანახავად მოსულიყვნენ.

— საყვარელო პიონერებო, —უთხრა ლახუტემ, — მამლაქათს ამჟამად არ შეუძლია თქვენი მიღება, ბანაობს.

— მივალთ აბანოში და იქ ენახავთ, —დასძინეს პიონერებმა.

— შეტრბულია, —თქვეს გოგოებმა, —ჯერ იბანოს და მივრე.

— არა, —დასძინეს ბიჭებმა, —მერე გვიან იქნება, ლიდა და სონია წვაილენ აბანოში და ყველას სახელით მიესალმონ.

ვერაფრით ვერ მოხერხდა პატარების დარწმუნება, რომ ვადაეფიქრებინათ...

ლიდა და სონია, როგორც დღეევატები, შევიდნენ აბანოს ოთახში და მიესალმნენ აბანოში მჯდომ მამლაქათს, რომელმაც ჯერ კიდევ საჩივრე საპნის ბუშტები ჰქონდა. და თავიანთი ეზოს პიონერების სახელით გადასცეს საჩუქარი შესაფერისი სიტყვით. საჩუქარი ყირიმში ზღვის ნაპირას აკრეფილი ლოკოკინებისაგან გაკეთებული პატარა ყუთი იყო.

მამლაქათმა მადლობა გადაუხადა, როგორც შეეძლო, და პიონერები თავიანთი სოფელში მიიპატიეთა, —მოდიო და ნახეთ, როგორ მუშაობენ ჩვენი სოფლის პიონერები ბამბის მინდვრებზეო.

ყველაფერი კარგა მიდიოდა.

მამლაქათი გამოვიდა აბანოდან. მისი სახე მომღიზიანებელი და ვარდისფერი იყო, თვალები სიხარულისაგან უღალავდა. მან დაიწყო ყუთის შეიწმენება, გასინჯა და მოეწონა—ძალიან ლამაზიაო. რამდენიმე წუთს ახალი საჩუქრით გართულს დაიწყებოდა საათის შესახებ. მაგრამ ერთიც მოიგონა და ყურთან მიიტანა.

საათს შეეწყვიტა წიკწიკი.

მამლაქათმა მეორე ყურთან მიიტანა.

არაფერი ისმის.

იქნება ყურებში წყალი ჩაუვლიდა?

ყურები გამოიწმინდა, თავი გაიქნია, —ყურებში წყალი არ არის. საათი ისევ მიიტანა ყურებთან, მაგრამ...

ერბაზად შეჰკვილა და დაიწყო ღრიალი:

— საათი გაუფუქვლა!



ამხანაგმა ლახუტამ დაურეკა მესაათეს, მოდიო, თორემ შეუძლებელია მამლაქათის დაწყნარებაო.

— ახლაც მოვალ.— უბასუხა მესაათემ,— თანაც კარგი მიზეზია: ვნახე, რა გოგონაა ეგ მამლაქათი. მესაათე მოვიდა, გაწმინდა საათი.

როცა მამლაქათმა კვლავ მიიტანა ყურთან, საათი ჩვეულებრივ წიკწიკებდა. რა სასიხარულო იყო... მამლაქათმა ხტუნაობა დაიწყო, ის მესაათესაც კი შეეშინებია, შემდეგ სერიოზული სახე მიიღო და ჰკითხა:

— შენ იცნობ ამხანაგ სტალინს?
— როგორ არა! ვინ არ იცნობს მას,— უბასუხა მესაათემ.

— აბა ძალიან, გთხოვ, ნუ ეტყევი იმას, რომ საათი გავაფუჭე.

— არა, არ გაგაფუჭებია, შენ მხოლოდ გიბანავევია, საათებს კი ბანაობა არ უყვართ. ყველმ გაიციან.

III

თათბირი დამთავრდა. დელეგატები უკან უნდა დაბრუნებულიყვნენ, მამლაქათიც უნდა დაბრუნებულიყო.

ერთ სალამოს ოლულ-ბიბი უთხრა: ყველაფერი მზად არის, სოფელში უნდა დაებრუნდეთო.

— მაშ არ წავალთ ამხანაგ სტალინთან გამო-

სამშვიდობებლად?— ეკვიანად ჰკითხა მამლაქათმა.

ოლულ-ბიბი მოელაპარაკა დელეგატების თავმჯდომარეს. გამოირკვა, რომ ბევრს უნდა ამხანაგ სტალინის კიდევ ნახვა და გამომშვიდობება.

წაიღენ.

როცა ამხანაგმა სტალინმა დაინახა მამლაქათი, მხიარული ღიმილით თავისთან დაუძახა.

მამლაქათმა მიიბრბინა და მიეცა.

— მაშ მიღიხარ, მამლაქათ?— ჰკითხა ამხანაგმა სტალინმა.
— დიხა.
— კარგად მოვიარეს აქ?
— კარგად, ძალიან კარგად.

— რა გინდა ვისახსოვრო?
— მადლობელი ვარ, ეს ერთი შენი მამლაქათი მემყოფა, — გაწითლებით უთხრა მამლაქათმა და საათზე უჩვენა.

— ისწავლე, თუ როგორ უნდა შეინახო საათი და რისთვის არის ეგ?

— დიხა, დროს უჩვენებს.

— მართალია, დროს უჩვენებს და მუდამ აგონებს კაცს, რომ დრო ოკროა, მოაგონებს, რომ საქმის დროს საჭიროა საათივით შეუჩერებელი მუშაობა. იმუშაებ?

— შეეველად.

— მაშ საჩქურად ვაძლევ აი ჩემ ფოტოსურათს, ჩენი მეგობრობის ნიშნად. ჩემთან არის შენი ნაჩუქარი წიგნი. აქედან შენ წახვალ ამხ. კალინინთან და კიდევ საჩუქარს მიიღებ.

— დიდი მადლობელი ვარ, ამხანაგო სტალინ, დიდი, დიდი!

მამლაქათმა კინალამ იტირა. მან მაგრა მიიკრა თავის პატარა გულთან დიდი ადამიანის, დიდი მეგობრის სურათი.

შემდეგ ამხანაგი სტალინი გამოემშვიდობა დიდრონებს.

დაიშალნენ.

იგივე მოართული სადგური, დელეგატები მოთველენ ვეგონებში.

მამლაქათი იჯდა ერთ კუბეში, სადაც იმყოფებოდნენ ოლულ-ბიბი და ენე-ბაჯი.

მატარებელი დაიძრა. სადგურზე ივრიალა ორკესტრმა და გასაცილებლად მოსული ამხანაგების „ვეშამ“.

ორთქლმავალი ქშენით მიიწვედა წინ.


მამლაქათი თითქოს აკვანში იწვეს, ვაგონი ნელა არწვეს. მის მკერდზე ლენინის ორდენი ბრწყინავს.

მამლაქათის პატარა ტენი ძლივს აწერს ივებს მიღებულ შთაბეჭდილებას.

სოფელში რომ მივა, რაგებს არ უამბობს!

თარგმანი სომხურიდან ლ. ასტვაცატუროვის მიერ





ქოროტე

13 თებერვალი.

მარჯანიშვილის სახელობის თეატრი საზეიმო-დაა მორთული. ტფილისის ქუჩებში მოთარეშე ცივი ქარი დროდადრო ჩაუქროლებს თეატრის წინ ჩამოშვებულ წითელ დროშებს და ლამაზად შეარბებს.

ჯერ საღამოს 7 საათი არ შესრულდებულა, და თეატრი უკვე ივსება საქართველოს მოწინავე კომკავშირული ახალგაზრდობით: სტახანოველებით, ინჟინრებით, მფრინავეებით, პარაშუტისტებით, საუკეთესო ფრიადოსნებით...

თეატრის ფოიე სავსეა ნაირნაირი საჩუქრით. მათ შორის ყურადღებას იქცევს საბავშვო რკინისგზის მოდელი, არალევალური სტამბა, ბავშვის მიერ დახატული ბორის ძნელადის პორტრეტი და სხვა. მოზრდილი კუთხე აქვს დათმობილი ოზურგეთიდან, ფოთიდან და აჭარიდან ჩამოტანილ ციტრუსოვან ნაყოფებს. თვალს იზიდავს ნარინჯისფერი, ჯანსაღი მსხვილი მანდარინები, ფორთოხლები და ლიმონები...

ერთი მხრივ უზარმაზარი პარაშუტის თეთრი ქოლგაა გაშლილი, ქვევით კი — თვითმფრინავის მოდელები, პაწაწინა პარაშუტის კოშკები და... ვინ დათვლის საჩუქართა წყევას!

კედლებს სტახანოველთა, ორდენოსანთა და ფრიადოსან მოწაფეთა პორტრეტები ამშვენებს. საქართველოს კომკავშირს ბევრი სისახელო და საამაყო კომკავშირელი ჰყავს.

აი თუნდ ლევან რუსიშვილი, ორდენოსანი ტრაქტორისტი. რუსიშვილმა ყრილობის დელეგატებს უამბო, თუ როგორ დაიმსახურა ლენინის ორდენი.

გრიგოლაშვილიც ლავოდების ტრაქტორისტი, მის მკერდას ამშვენებს ლენინის ორდენი.

იროდი ბრეგვაძე, ზედმეტ სახელად „პატარა ჩაპაევი“, კიათურის სტახანოველია.

იროდი მხოლოდ 16 წლისაა, მაგრამ ის იმდენად დაეუფლა ტექნიკას, იმდენი ენერჯია და შრომისუნარი გამოიჩინა, რომ საუკეთესო სტახანოველის სახელწოდება დაიმსახურა.

ზონის ძაფსაღები ქარხნის სტახანოველი ქალი — გელენიძე, რომელიც 660 გრამი ძაფის ამოღების ნაცვლად 2390 გრამს იღებს, თავის სიტყვას ასე ათავებს: თითოეული კომკავშირელი სტახანოველი უნდა იყოსო. გელენიძის ეს მოწოდება, რა თქმა უნდა, მისასაღებელია.

სტახანოველი კომკავშირელები საქართველოს ბევრი, ძალიან ბევრი ჰყავს, მაგრამ მათი რიცხვი მომავალში უფრო და უფრო გაიზრდება, ამის გარანტიას იძლევა თითოეული დელეგატის გამოსვლა.

ყრილობის 'იმდინარეობას ხალისს მატებს მილოცვები სხვადასხვა ორგანიზაციიდან. ყრილობაზე მოსალოცად მოდიან წითელარმიელები, ფიზკულტურელები, მფრინავეები. მათ მწყობრ რიგებს მქუხარე ტაშით აცილებენ ყრილობის დელეგატები.

სცენაზე მესაყვირე პიონერები გამოჩნდნენ. დარბაზს ჟრუანტელს ჰგერის საყვირების მკვეთრი ხმა. განგაშზე ყოველი მხრიდან დაიწყეს დენა წითელყელსახვევიანმა პიონერებმა. წუთიც — და დარბაზი მთლიანად ივსება მათი მზიარული სახეებით. სცენაზე მკვირცხლი ცერ-



ოდენა გოგონა ფუსფუსებს. ის ხელმძღვანელობს პიონერთა გამოსვლას. მისი გაბედული ხმა ზარივით წკრიალებს დარბაზში. ის ტფილისის პიონერთა სახელით მადლობას უძღვნის დიდ სტალინს საამური ცხოვრებისათვის და მათივე სახელით ყრილობის წინაშე პირობას დებს, რომ თითოეული პიონერი გახდება სწავლის ფრიადოსანი.

პიონერთა მოფიქრებული გამოსვლა წარუშლელ შთაბეჭდილებას ტოვებს ყრილობის დელეგატებზე.

საქართველოს კომკავშირის მე-22 ყრილობა ოთხი დღის განმავლობაში გრძელდებოდა. კომკავშირის ც. კ. მდივნის აზხ. შველაძის საბოლოო სიტყვის შემდეგ ყრილობამ ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკური ხაზი სწორად ცნო, ხოლო პრაქტიკული მუშაობა საანგარიშო პერიოდში მოიწონა.

ყრილობის დამთავრების შემდეგ დელეგატები ინტერნაციონალის სიმღერით დაიშალნენ...

ელ ა-ძმ



სერგეი ქიროს

სიცოცხლე უცბათ ჩაგიჭრა,
 გმირი დაეცი კლდესავით,
 სამშობლომ მკერდში ჩაგიკრა
 კაცი, კოცონის მთესავი.
 დატოვე ცეცხლში ნაწრთობი
 და შენი ტრფობით დაგული
 ქვეყანა უსაყვარლესი,
 ლამაზად მოუარდაგული.
 შენს მუხლს მანძილი არ ღლიდა,
 სურვილებს შლიდი ვარდებად,
 მოგეშორდი, როგორც მალღიდან
 ვარსკვლავი ჩამოვარდება.
 დაგნათის ძვირფას კუთხეში
 დარები საგანთიადო...
 შენ მოგხვდა ხელი უხეში,
 ოქროპირო და დიადო!
 ჰერი კვამლით გაშურეს,
 ზეცის თაღებსაც მოხევენ,
 შენს ხსოვნას ასალამურებს
 კოლექტიველი მოხევე...
 შენი სახელი აქ ყველგან
 გაისმის კილით-კიდეა
 და თითქოს შენი თვალები
 კრემლზე ვარსკვლავად კილია.

პეტრე გიზიბერი



სანტიკო



მატე. ელენე ახვლედიანი

შორს, აქედან ძალიან შორს, როგორც იტყვიან—ცხრა ზღვასა და ცხრა მთას იქით, წყნარ ოკეანეში, ფლიპინის კუნძულებზე მდებარე ამერიკელების კოლონიური ქვეყნის დედაქალაქ მანილში ოცდათერთმეტ დეკემბერს კოკისპირული, ტროპიკული წვიმა მოვიდა.

ახალგაზრდა ფეიქარი ალონს სანტიკო ამერიკელ მილიონერ მისტერ ჯონ ბიქსის საფეხროდან 10 საათზე გაშოვიდა; ქუჩაში წყლის გუბეები იდგა და ორიოდე გამწვლევიდა მიბოტებდა. ოკეანედან მოქრილი ქარი ტყვლეგრათის მივთულებზე წიოდა და ძალუმად აშხაპუნებდა წვიმის წვეთებს ფანჯრის მინებზე...

კოლუმბის სახელობის ქუჩის დასასრულთან წყლებით დაწინწკლულ ფანჯრებს იქეთ მუსიკა გრიალებდა. სანტიკო შედგა და მაშინ გაახსენდა, რომ ხვალ ახალი წელია. მისტერ ჯონ ბიქსის ოჯახი ახალ წელს ხედებოდა; მან ყურებამდის ჩამოიფხატა ქუდი და მომეტებული სინქარით განავარძო გაზა.

იმავე ქუჩის პირველი შესახვევის ნომერ 177 სახლთან ის შედგა, ქუდი დიფერთხა და ქვედა სართულში პირველი ოთახის კარი შეაღო.

ოთახში იაფფასიანი კედლის საათის ქანქარა ირხეოდა და სიჩუმეს არღვევდა. ქალარაშერთული ფართოსათვალეზიანი ქალი რაღაცას აკერებდა. ალონსის დები კი—როზარია და მაგდალენა—მაგიდას უსხდნენ და თავები ორივე ხელზე დაეყრდნოთ. ძმის შემოსვლაზე არცერთი არ განძრეულა. სანტიკომ ზანტად მოიხადა ქუდი და ტანგაუხდელად მიწვა ტახტზე.

ქალარაშერთულმა სათვალეზიანმა ქალმა თავისთვის ჩაილაპარაკა: — ალონს, შეილო, ხელფასი არ მიგრილა?!

ყმაწვილი გახევებული შესტკეროდა კერს და არ პასუხობდა. მაშინ დედამ შეილისაკენ მისწია სკამი, ჩამოჯდა და მძიმედ ამოოხერის შემდეგ თქვა:

— ნუ წუხარ, შეილო, მამაშენი პაულ ზომენტან წავიდა, მაგდალენას ახლადმეყერილი კაბა წაიღო გიროოდ, ხვალ ბრინჯი გვექნება!

ოთახში დუმილი იყო. სანტიკო ზანტად წამოჯდა, ხელეები მუხლებზე დააყრდნო, დას



შეხედა, შემდეგ თავი ჩაღუნა და გაგრძელებით დაიწყო:

— ამ დღეებში ფულს მივიღებ: ასე შემზირდენ. ნუ გეშინია, მაგდალენა, კაბას მალე გამოგიხსნი...

ოთახში დღემილი იყო. მაგდალენა მკლავებზე თავდახრილი მთლიანად დაყრდნობოდა მაგიდას და მხარის ერთი ნაწილი უცახცახებდა; ცხადი იყო, ხმათუღებლივ ტირიდა. საბრალო გოგონას ჯერ ხომ ერთხელაც არ ჩაეცვა თავისი ახალი კაბა, და წაიღეს კი, წაიღეს, რომ ხვალ სადილი ქმონ. ოთახში გარკვევით ისმოდა, თუ როგორ უსტვენდა გარეთ ქარი ტელეგრაფის მავთულეებზე და მაღალსართულიანი შენობების თუნუქებიან სახურავებზე...

ოთახში ქალღალწებული ლაშარა ბეუტავდა და კედლებზე საყვირთვად კრული სურათების გარჩევა შეუძლებელი ხდებოდა.

ალონს სანტიავო კარგახანს დღედა, შემდეგ წამოღდა, თამბაქო შეახეცა, ასანთი გაკრა და ფეხი არც კი გადაედგა ადგილიდან, რომ ვილაკამ კართან ხრინწიანი ხმით ჩახველა და ზოფურიდებლად მოჰყვა კარზე რახუნს.

ცხადია, მამა არ არის, ის დაუკაქუნებლად შემოვიდოდა. მაშ ვინ უნდა იყოს ასეთ ქარიშხლიან ღამეში? — გაფიქრა მან.

ამ დღეებში სანტიავოს ცხოვრებაში უჩვეულო არაფერი მომხდარა, თუმცა დღეს, შესვენებისას, სანტიავო საფეიქროდან რომ გამოვიდა, თამბაქოს საყიდლად სავაქროში შევიდა. უკან რომ ბრუნდებოდა, ქარმა კარები ძალუმად მიაჯახუნა, ისე მაგრად, რომ მინები ნამსხვრევებად ჩამოცივდა ძირს. გაავებული ნოქარი დაედევნა, ყვიროდა და იგინებოდა. სანტიავომ გზა განაგრძო. მას დიდხანს ესმოდა ნოქარის ლანძღვა-გინება...

სხვა მის ცხოვრებაში ამ დღეებში საყურადღებო არა მომხდარა რა. მაინც ვინ უნდა იყოს?

კაქუნი არ წყდებოდა. სანტიავომ კარები გამოაღო და ოთახში შემოვიდა ორი ქანდარმი რეზინის მათრახებით.

— შენა ხარ ალონს სანტიავო?

— დღეს თამბაქოს სავაქროში მინები შენ ჩაღწეე? — ღრენით მიმართა ქერა ქანდარმი.

დღეა შიშისაგან კანკალეზდა. დღები კუთხეში მიკრუნჩხულიყვნენ, სანტიავო თავდახრით იდგა.



ქართული
ენების
საზოგადოებრივი
საზოგადოება

— გამოგვეყვი თან, — მოწყვეტით მოკრა ქერამ, წინ წამოიწია, რევოლვერი ამოიღო და სანტიავოს წაეტანა.

— თქვენ გენაცვალეთ, საღ მიგყავთ ჩემი შვილი, ყველაფერს გადვიხდით, ოღონდ დამიტოვეთ! — შეჰკივლა დედამ და ხეყნა-მუდარით ხელეებზე წაეტანა ქანდარმი. დედა არ ეშვებოდა, ემუდარებოდა და შვილს გამოსთხოვდა. მაშინ მეორე ქანდარმი აღარ დააყოვნა და მოხუცს სახეზე რეზინის მათრახი გააწნა. დედა მოწყვეტით დაეცა იატაკზე.

— რას ჩაღიხართ, მხეცებო!

კმაწვილი ღრიალით მივარდა ქანდარმი, ძალუმად ჩაბღუჯა, ძირს დასცა და ფეხებით შესდგა. იმავე წუთს ზურგთან რევოლვერმა იქექა, და სანტიავო დედის გვერდით გაგორდა. როზარია და მაგდალენა შემამძრწუნებელი ხმით კიოდნენ და ადგილიდან ვერ იძროდნენ...

გარეთ ქარი მომეტებულად უსტვენდა. უმცრად კარები გაიღო და კიბესთან თამაწყწილი მოხუცი გამოჩნდა ტომსკით ხელში.

— ხელები ზევით! — შეჰყვირა რევოლვერ-მომარჯვებულმა ქანდარმი.

მოხუცს ტომსკი ხელიდან გაეარდა. იატაკზე დაცვივდა თოვლივით თეთრი ბრინჯი. შემამძრწუნებელი სურათის დანახვაზე ხელემაძმართული მოხუცი საცოდავი ხმით აღრიაიდა.

კარეთ ცხრა ზღვა და ცხრა მთა მოვლილი იო ძალუმად უსტვენდა და ოთახში შემოჰქანდა წვიმის წვეთები. ქალაქ მანილში იდგა წვიმიანი და ქარიშხლიანი ახალწლის ღამე.

დ. შამათაძე

ერთი კარგი

მსატე. დ. ნაცვლიშვილი

შრალი ზამთარია...

შინი დღეებია, დამით ვარსკვლავები ციმციმებენ. მიწა და ხეების უფოთლო კენწეროები თეთრად ითოშება თეთრი ბუსუსების ჩხირებით.

დღით ბაჭულის ჩვეულებრივად ადრე გამოვლვია, მაგრამ ჯერ დედა ადგა, მივიდა ბუხართან, შეხვავებულ ნაცარზე შემოწყობილი კეციეი აიღო და ერთ კუთხეში მიაღება. ნაცარი საკეციე გადმოქექა. რამდენიმე ნაკვერჩხალი ცოცხლად იყო შენახული. ნაკვერჩხლები ერთად მოაგროვა, ხმელი შემა ირგვლივ შემოუწყო და საბერველივით დაუწყო ქშიტინი.

ქშიტი ნელ-ნელა ავიზვიდა... მერე ბაჭულიც მივიდა ბუხართან, თავის პატარა სკამზე დაჯდა, გვერდით დაილაგა ქალამნები და შალის გრძელყევიანი წინდები.

ამ ოჯახში ახლა ბაჭულია ყველაზე უფროსია დედის შემდეგ. მისი უმცროსი და-ძმა ჯერ ისევ ლოგინში წვიანან. მათ არ იციან ადრე ადგომა. ბაჭულის მამაც ჰყავს, მაგრამ აგერ ორი კვირაა რაც ის აღარ უნახავს, მაშინაც დამით ჭრაქის მკრთალ სინათლეზე ძლივს დაინახა, ყელზე მოეხვია და გრძნობით გადაიკონა.

— ნუ გეშინია, შვილო, ისწავლე. მალე წითელი დროშები აფრიალდება... წითელი დროშები. ბაჭულის არ უნახავს წითელი დროშები, სულ თავში უტრიალებს ეს ორი სიტყვა. მამაც ლანდინით უღვას თვალწინ.

მან უცებ ჩაიკვა ფეხზე და გარეთ ცივი წყლით დაიბანა პირი. შინ რომ შემობრუნდა, დედამ გაფიცებული ჭადი დაახვედრა. მიდგა ბაჭულია გაკვირჩხინებულ ჭადს და კამფეტცივით დაუწყო ჭამა, ნახევარი იქვე გაათავა და ნახევარი კი ჩანთაში ჩაიღო. ჩაიკვა შინ მოქსოვილი დახული შალის პალტო, თავზე ძველი ყაბალახი მოიხვია და ქალაქისკენ მოკურცხლა, მამის ამბავი უნდოდა გაეგო. ზამთრის შინი დღია.

ბრჭყეილებს ხეების გათოშილი კენწეროები. ბაჭულია მირბის, მირბის. იგი მარდელ ხტება პატარა ღლეგებისაგან გაკეთებულ ხრამებზე. დღის მსუსხავ სიცივის ბაჭულის ფუნჯულა ლოყები აუწითლებია. საურმე გზას რომ მიუახლოვდა, გაოცდა, თვლები ცრემლით გაეცო, ველარკ კი იხედებოდა, ძლივს არჩევს ერთად მიმავალ სამკაცს. შუაში ბაჭულის მამა მიდის, ხელები თოკით აქვს შეკრული, წერი მოუშვია, მარჯვნივ და მარცხნივ თოფიანი გვარდილები მიჰყვებიან, ხელში ბრჭყეილა რევოლვერები უკავიათ, ნაბდის რუხი პალტოები აცვიათ და უფშ ფეხსაცმელს მიაბრაზუნებენ.

— მამა!— გაისმა ბაჭულის ხმა. მამამ ხმა იცნო და მისკენ მიხედა.

ბაჭვი ფრენით მივიდა მამასთან, მას სრულეებით არ შეშინებია რევოლვერიანი კაცების...

ბაჭულია ტუსალ მამას წელზე მოეხვია. მამა დაინახა და ბავშვს სიცივისაგან აწითლებულ ლოყებზე აკოცა. ტუსალს უკანიდან მუგულუგუნი მოხვდა. მათ ბავშვიც კინწისკვრით გამოავდეს.

— წადი, შვილო, შინ, ნუ გეშინია. დედას უთხარი, რომ მე კარგად ვარ, მალე მოვა-თქო.

ბაჭულის მამა სათავეში უდგა უმიწაწყლო გლეხებს, რომლებიც მოითხოვდნ თვისუფლებას, მიწას და მემამულეების მოსპობას...

ეს ამბავი გაგონილი ჰქონდა ბაჭულის და უფრო უკეთ იცოდა დედამ...

ახლა ბაჭულია მიხვდა, რომ მათ გარდა სხვებსაც გაუგავიათ. ბაჭულია სირბილით გაექანა შინსაკენ...

მირბის... მირბის და დედისათვის მიაქვს ახალი ამბავი, ქოშინით უამბო, რაც ნახა. დედა შეწუხდა, მაგრამ არაფერი თქვა, ისევ გაჩუმება არჩია, იფიქრა— ბავშვი შეწუხდებაო.



ტუსალებით სავსე ციხეს ეს პოლიტიკური პატიმარიც შეემატა. ციხეში ძველი ტუსალების საქმე არ გამოურეკევიათ და ბაჭულიას მამისათვის ხომ სულ არავის შეუწყუხებიათ თავი. პირველ დამითვე გაიღო ციხის კარი. ძველ ტუსალებს ეტყობათ ასე მოულოდნელად კარის გაღება. ახალ ტუსალებს უცხო არაფერი შეუნიშნავთ, ხოლო როცა ყველა პატიმარი ბორკილების ქღარუნით გამოიყოფნენ, მაშინ მიხედნენ, რომ მათი საქმე ცუდად მიდიოდა...

ლაშა...

ცა ვარკვლავებით არის მოჩითული. გაძარტული მალაო ხეები ლანდებივით დგანან, აქა-იქ სახლებიდან სინათლე კიაფობს და სადგურიდან ისმის ორთქლმავლის ქშიტინი.

ყველაფერი ესმით ბორკილებიან ტუსალებს. ისინი ქალაქის განაპირას ვავიდნენ. იქ პატარა დელეჩამოდის ლელის გაღმა რამდენიმე ათეული ნაბიჯის შემდეგ გორაა აყუდებული. ამ გორაზე ძველი დანგრეული ეკლესიაა. ეკლესიის ირგვლივ ზოფენილია გრძელი სწორკუთხოვანი საფლავის ლოდები. იქ სახელდახელოდ დიდი ორმო ამოუთხრიათ.

ლელის გაღმა გვარდიელებმა ტუსალებს ბორკილები შესწნეს და ორმოსკენ უბრძანეს გაქცევა. ქითქითა მთავარი ცეკად იხედება და ახლადმოთხრებით ორმო გარკვევით მოჩანს.

— ჩვენ არსადაც არ გავიქცეით! — ხმაილლა დაიძახა ბაჭულიას მამამ.

— ჩვენ სალაილოდ არ გვცალია, გობრძანებენ და გაიქცევი! — უბრძანა გვარდიელმა. ისინი ჩამწყობდნენ და სასროლად მოემზადნენ.

ტუსალები გაიქცენ...

ატეხის თოფების უწყსრიგო სროლა. ტუსალები აბა ტყვიებს სად გაასწრებენ! ზოგი ორმოდის წიქტა, ზოგი პირდაპირ ორმოში ვადავარდა. ბაჭულიას მამა მიხვეულ-მოხვეული ხაზით გაექანა. მან ორმოსთან გაიბრძინა და ფრიალო აღმართს შეუტრია მწვერვალისაკენ. ყველამ მას დაუმიზნა... ტყვები ირგვლივ მარცვლებივით ცვივა. მსროლელები ძლიერადა ხელავენ, კაცი ლანდივით რომ მიცოცავს გორაკზე...

მიდის...

მირბის...

მიხიხიხავს...

და აი, უკვე ავიდა გორის თავზე, ახლა თავისუფლად ამოისუნთქა. თითონაც არ იცის, როგორ ავიდა ამ ციკაბო გორაკზე!



რამდენიმე ათეული ტუსალი ორმოს გარშემო ყრია, ზოგი ორმოში ჩავარდნილა, ზოგს ჯერ ისევე სული უდგია. გვარდიელები მშვიერი მგლებივით დათარეშობდნენ. ისინი მკვდრებსა და სულთმობრძავენებს ერთად ყრიან ორმოში. ცოტადა აკლია გაცხებას, და მიწის გადაყრა დაიწყეს. ორმოდან ისმის კენესა, გმინვა, მაგრამ ამ გულქვა ადამიანებს თითქოს არც კი ესმით. რომელიღაცას ბელტები მოხვდა და კენესით დაიძახა:

— ცოცხლად ნუ გვმარხავთ...

მაგრამ მისი ხმა ბელტებმა ჩა'ოლა...

ადამიანები ცოცხლად დამარხეს.

დილით ტფილისიდან უქანასკნელმა მატარებელმა ჩამოიარა. მატარებელს მიჰქონდა საქართველოს დედაქალაქის სიმღიდრე, მიჰყავდა სამი წლის მენშევიკების მთავრობა თავისი მინისტრებით. ეს სისხლში გასერილი ჯალათებიც ამ მატარებელს შეემატნენ.

ორთქლმავალმა კენესით ამოიქშინა და წავიდა... ქალაქში წითელი დროშები აფრიალდა.

ბაჭულია გახარებულია, უცქერის წითელ დროშებს, ყოველ სახლზე რომ კიდა...

მისი მამაც ხომ ამ წითელი დროშებისა და თავისუფლებისათვის იბრძოდა...

ლავკ. ზიჰინაძე





ესეირნობთ აქოჩრილ ბაღში,
ირგვლივ ვარდების სუნია...
თეთრ-თეთრ ყვავილთა ზღვაში
მშრომელი ფუტკრები ბზუიან.

ათასფერ ყვავილს წუწნიან,
ზელავენ დინდგლის ფუფას...
მამალი ფუტკარი წუწკია,
მუღმივად გაურბის ჯაფას.

ფუტკარი მავნებელს იკერს
(ბრძოლებიც სჩვევიათ მედგარი)
ავგემენ ხელოვნურ ფიკებს
ყოველდღე დაშაქრულ ნექტარით.

მიფრინდა, ყვავილში მოთავსდა,
შიგდაშიგ საუნჯე ეძია.
გამოძვრა, წრე ორჯერ მოხაზა
და მერე მიმოზხებს ეწვია.

იგემა წუთები ნეტარი,
დააჯდა ტყის ყვავილს ბაწიას,
ჩინჩახვი გაივსო ნექტარით
და უმაღ სკისაკენ გასწია.

სულ შრომობს, თითქოსდა კაცია,
ლამაზი, ბუსუსებცანკარა...
ნადავლი მთლად ამოარწყია,
ჩინჩახვი თავლისგან დაცალა.

ფუტკარმა ისარი თ დაჩხვლიტა
მავნებლის ბინძური სხეული.
ფუტკრები ბეჯითი გარჯითა
ცხოვრობენ და უყვართ რჩეულნი.

ახრჩობენ ჩრჩილებს და თავგებს,
იციან მოსპობა უჩაღთა.
მოშურნეს დაუგეს მახე,
ნამღვლილი ბრძოლები გაჩაღდა.

თეთრ აკაციათა სურნელი
მათ ძლიერ უყვართ და ატკობთ...
მამალი ფუტკარი სულელი
სულ ჰამას უნდება მარტო.

ესეირნობთ მშვენიერ ბაღში,
მანანის საამო სუნია...
ათასფერ ყვავილთა ზღვაში
მშრომელი ფუტკრები ბზუიან.

ბრ. არღსია





პასილ ჩაპაევი


„წითელზოლმეზღვრული შავი ქუდი, შხა-
ვი ნაბით, თითქოს დემონის ფრთებიანო, ერთი
კიდდან მეორეზე დაქროდა ჩაპაევი. იგი
სწრაფად იძლეოდა ბრძანებებს, აწვდიდა სი-
კირო ცნობებს, აძლევდა კითხვებს. და მე-
თათურებიც, რომლებიც ძალიან კარგად იცნობ-
დნ თავის ჩაპაევს, მოკლედ და სწრაფად პა-
სუბობდნ — არცერთი ზედმეტი სიტყვა, არც-
ერთი წუთის დაყოვნება“.

ასეთი იყო ჩაპაევი ბრძოლის დროს. მთე-
ლი მისი სახელოვანი ცხოვრება ხომ განუ-
წყვეტელი ბრძოლა იყო, ბრძოლა დაუნდო-
ბელი და სასტიკი კოლჩაკის გენერლებთან და
ოფიცრობასთან, თეთრ ყაზახებთან და კულა-
ბთან. ამით გაითქვა მან სახელი კიდით
კიდემდის, როგორც საზღაბრო გმირმა.

არა ერთხელ უხსნია ჩაპაევს სოფლები და
ქალაქები თეთრგვარდიელთა რკალისაგან, არა
ერთხელ გაუწვევია მას დახმარება წითელარმი-
ელთა ნაწილებისათვის.

1918 წელს, ქალაქ ურალსკთან, წითლების
მეთხებ არმია მოიშწყყდია მტერმა გაუვალ რკალ-
ში. მთელი არმიის ბედი ბეწვზე ეყიდა. მჭე-
რი უყვე წინასწარ ზეიმობდა გამარჯვებას. გა-
იგო ეს ამბავი ჩაპაევმა და ელვის სისწრაფით
გაეშურა თავისი მფგომრებით წითლების დასა-
ხსნელად. ორი დღეობდამე შეუსვენებლად უძი-
ლოდ, უჭმელ-უსმელნი, იარაღით ხელში იკა-
ფოდნ გზას ჩაპაეველები მტრის რკალში. ბო-
ლოს რკალი გაარღვიეს, შეუერთდნ მეოთხე
არმიას და მტრის გამაგებებულ შემოტევას მანამდის
იგრიებდნ, ვიდრე მეოთხე არმიამ მწყობრად
არ დაიხია უკან და სამშვიდობოს არ გავიდა.

ასეთი სახელოვანი, გმირული ბრძოლები
არა ერთი ვადაუტანია ჩაპაევს ჩაპაეველებთან
ერთად. ერთერთ ასეთ ბრძოლაში, 1919 წლის



ნ სექტემბერს, ქალაქ ლბიშჩენსკთან დაიღუპა
ჩაპაევი. ამ დროისათვის ჩაპაევის შტაბი ქ.
ლბიშჩენსკში იყო. შტაბი არ იყო დაცული
ჯარის არცერთი ნაწილით. მტრის თავდასხმის
დროს ჩაპაევის შტაბისათვის პირველი დახმარე-
ბისათვის აღმოჩენა, სულ ბევრი რომ ეთქვათ,
მხოლოდ ერთი დღის შემდეგ შეეძლოთ. პირ-
დაპირ ჩაპაევზე მისვლას ვერ შედედა გენერა-
ლი ტოლსტოვი, თუმც 40 ათასი მხედარი
ჰყავდა. ჩაპაეველებთან შეტაკებას იგი ვერ გა-
უძლებდა. და აი, როგორც კი გაიგო მან მხვე-
რავების საშუალებით, რომ ჩაპაევის შტაბი მო-
წყვეტილია წითლების ნაწილებს, გადაწყვიტა
ესარგებლა მფგომარეობით. მტერმა მიზანს
მიადწია, და ჩაპაევი ტყვიით განგმირული
დაიღუპა მდინარე ურალის ტალღებში, დაიღუ-
პა მასთან ერთად მრავალი ჩაპაეველიც.

შემოდგომის სუსხიანი ქარი ჰაერში აქრო-
ლებდა ათასობით ჩაპეველების მიერ ქალაქის
ნაგლეჯებზე დაწერილ უკანასკნელ სიტყვებს:
„ამხანაგებო ჩაპეველებო, ჩვენ მივყავართ და-
სახვრეტად. გაუმარჯოს საბჭოთა ხელისუფლე-
ბას! შური იძიეთ თეთრებზე ჩვენი სიკვდილი-
სათვის! გაუმარჯოს ბოლშევიკების პარტიას,
გაუმარჯოს კომუნისტებს!“

და თეთრი ყაზახები ას და ორას ჩაპეველს
ერთად ხვრეტდნენ ტყვიამფრქვევით. დასახმარებ-
ლად მოსულმა ჩაპევის დივიზიის ნაწილებმა
უკუაქციეს მტერი, მიხედეს დაქრილ-დახოცი-
ლებს, ბევრი ეძებეს ჩაპევის გვამი, მაგრამ
ამოღ.

ჩაპევის სიკვდილიდან ორი თვის შემდეგ
ჩაპევის დივიზია გადაეცა შეტევაზე და მან
დღეში სასტიკად დაამარცხა გენერალ ტოლ-
სტოვის ურალის არმია.

ამხანაგმა ლენ ინმა დებეშით მადლობა გა-
დაუხადა ჩაპეველებს ურალიდან თეთრების გან-
დენის გამო. ასე დასრულდა სამოქალაქო ომის
ამ სახელოვანი გმირის, მამაცი და ნიჭი-
ერი სარდლის ვასილ ჩაპევის ცხოვრება.

მძიმე იყო ჩაპევის ცხოვრება სამოქალაქო ომის
ქარცეცხლი. მაგრამ მისი ხმალი ხომ ქრის
და მიზანში ამოღებული მტერი ხომ ვერ უძლებ-
და მის შეტევას, და ამიტომ ჩაპევიც არა-
ფრად აგდებდა ასეთი ცხოვრების სიმძიმეს. მძი-
მე იყო ჩაპევის ბავშვობაც, მაგრამ ეს სულ
სხვა სიმძიმე იყო. მამამისი, გლეხი, მუდამ გა-
ჭირვებული, ლუკმაპურის საშოვნელად ქალა-
ქად დადიოდა სამუშაოს საძებრად, ოჯახი კი
ჯახირობდა და ჩაკირკიტებდა გამოფიტულ ორ
ქცევა მიწას სოფ. ბუდანკაში. „შიშვლით გაწა-
მებულმა ოჯახმა ბოლოს გადაწყვიტა გადასახ-
ლებულიყო ქალაქ ბალაკოვში. მაგრამ აქაც

არ დაადგა მას საშველი, ვერ დაადგინა თავი
ვასილის. პატარა ვასილი ვაჟის მისივე ხელ-
დად. სამი წლის შემდეგ ვასილს მანეთი
დაუნიშნეს თევში. ერთი წლის შემდეგ ვაჟარ-
მა გააგდო იგი, და ჰაბუქმა უგზოუკლოდ
დაიწყო ხეტიალი. დადიოდა იგი კარიდან კარ-
ზე, ქალაქიდან ქალაქში და მღეროდა (მას კარ-
გი ხმა ჰქონდა) ორიოდ გროშისათვის, რომ
შიშვლით სული არ ამოსძრობოდა. როდესაც
ხეტიალი მოსწყინდა, ღურგლობას მიჰყვა ხელი.
ამ ხეტიალში მან შემოიარა მთელი ურალის
ოლქი და სამარის გუმბერნია და ეს მიდამოები
ზედმიწვენით კარგად გაიცნო. აი რატომ იყო,
რომ შემდგომ, სამოქალაქო ომის დროს, იგი
ასე კარგად და სწრაფად ერკვეოდა ურალის
ოლქის მიდამოებში და არ საჭიროებდა რუკე-
ბის დახმარებას. უნდა ითქვას, რომ ამ რუკე-
ში უსწავლელი ჩაპევი ვერც კი ერკვეოდა
ხეირიანად.

მსოფლიო ომის დროს ჩაპევის ჯარში უკ-
რეს თავი, გერმანიის ფრონტზე იბრძოდა, ორ-
ჯერ დაიჭრა.

სამოქალაქო ომის პირველი დღეებიდანვე,
1918 წლის დასაწყისშივე გაითქვა სახელი
ჩაპევმა, და ამ სახელს დღესაც სიამაყით ატა-
რებს მისი დივიზია, რომელიც დაჯილდოებუ-
ლია **ლენინის ორდენით** საუკეთესო საბრძო-
ლო და პოლიტიკური მომზადებისათვის მშვი-
დობიანობის დროის პირობებში. ორდენოსანმა
ჩაპევის დივიზიამ გაამრავლა თავისი ძალები,
აღიესო ცოდნითა და გამოცდილებით და მზად
არის თავანწირულად ეკვეთოს მტერს, თუკი
იგი გაბედავს ფეხი შემოდგას სოციალისტური
სამშობლოს მიწაწყალზე.

შ. გვინიძე





მდინარე ნილოსი

აფრიკის მაღალ და ფართო მთაგრებილზე გაბნეულია უამრავი ტბა.

ეს ტბები ზოგი პატარაა, ზოგი კი უზარმაზარი, მაგრამ მათ შორის თავისი სიდიდითა და ბუნების იშვიათი სილამაზით განირჩევა ორი ტბა. პირველს, რომელიც უფრო დიდია, ვიქტორია-ნიანზა ეწოდება, ხოლო მეორეს ალბერტ-ნიანზა. ეს ტბებია მდინარე ნილოსის სათავე, მაგრამ ნილოსს გზადაგზა ბევრი დიდი და პატარა მდინარე უერთდება. ნილოსს ძალიან დიდი მანძილი აქვს გადასალახავი.

ვიქტორია ტბიდან მომავალმა ნილოსმა საშიათას ექვსასი კილომეტრი უნდა გამოიზინოს, რომ მიუახლოვდეს მთიან ქვეყანას—აბისინიას, სადაც მას უერთდება მეორე დიდი მდინარე, ე. წ. ცისფერი ნილოსი.

ამ უზარმაზარი მანძილის გასწვრივ თვალწარმტაცია ნილოსის ნაპირები: პალმებით, პაპირუსებით, ბანანის ხეებითა და ათასგვარი სურნელოვანი ყვავილითა და ხილეულობით არის აფარებული. აქ მუდამ ზაფხულია. მარადულად აყვავებულ ბუნებას თავს ევლებიან და ეალერსებიან აფრიკის ფერადი ფრინველები, რომელთა გალობა აღვიძებს და ატკობს არე-მარეს.


მრავალი კილომეტრის მანძილზე მდინარე ნილოსის ნაპირზე აღმართულია ტროპიკული
პ ი ო ნ ა რ ი

მცხარეთა მწვანე კედლები, რომელთა სიმაღლე 5—6 მეტრს აღწევს. ეს მწვანე კედლები გაუფიქრებელია, მათ ძირში კი მარადული ჩრდილია გამეფებული. ალაგ-ალაგ კედლები გაყოფილია ნილოსის ნაკადებით, რომლებიც ვერცხლის ზოლებივით მიიკლავებიან მათ შორის. ხანდახან ეს ვერცხლის ზოლები ზევიდან ჩამოცვენილი ყვავილებითა და სხვადასხვა მწიფე ნაყოფით აფერადდებიან და მოძრავ ხალიჩებს ჰგვანან. მწვანე კედლების ჩრდილში აღამიანს შეუძლია გატყროს ნავით ათეული კილომეტრები ისე, რომ აფრიკის ცხელმა მზემ ოდნავადაც არ შეაწუხოს.

ამ ზღაპრულ მხარეში ჰავრი რბილია, სუფთა და მუდამ გაყვანილია ყვავილების სურნელოვნებით. მოგზაური აქ უდიდეს სიამოვნებას გრძნობს და თავდავიწყებას ეძლევა.

მომზიბლავია და შშვენიერი ნილოსის ეს მიდამოები! აქ სახლომენ თავის წერწყეტა ქოხებში აფრიკის შეკანიანი და მაგარკუნთებიანი ტომები. აქვეა ცხოველთა და ფრინველთა სამეფო, რომლის მსგავსი მსოფლიოში არ მოიპოვება.

სანამ აბისინიას მიუახლოვდებოდეს, მდინარე ნილოსის წყალი რძესავით თეთრია, ამიტომაც არაბებმა მას ბახრ-ელ-აბიალ, ანუ „თეთრი მდინარე“ დაარქვეს. დღესაც მდინარეში მას „თეთრ ნილოსს“ უწოდებენ.





აბისინიის მიწაზე გამოვლისას თეთრ ნილოსს უერთდება ცისფერი ნილოსი. ცისფერი ნილოსის სათავეა უდიდესი ტბა ტანა, რომელიც მდებარეობს აბისინიის მაღალ და ფართო მთაგრებილზე და უდიდესი მნიშვნელობა აქვს როგორც აბისინიის, ისე ეგვიპტის ნიადაგის განაოყიერებისათვის.

ცისფერი ნილოსის წყალი ცოტა მღვრიეა, მოლურჯო ფერი გადაკრავს და მდიდარია მინერალური ნივთიერებით. არაბებმა მას ბახრ-ელ-აზრეკ, ანუ „მღვრიე მდინარე“ დაარქვეს.

თეთრი და ცისფერი ნილოსების შეერთების შემდეგ მდინარე უკვე უზარმაზარი ხდება და „თეთრ ნილოსს“ და „ცისფერ ნილოსს“ კი აღარ უწოდებენ, არამედ მხოლოდ „ნილოსს“. შეერთების შემდეგ მდინარე ნილოსის წყალს გემრიელი გემო აქვს და ძალიან სასიამოვნო სასმელია. ამ მხრივ მას ევროპეატი მდინარის წყალი ვერ შეედრება. ერთერთი ევროპელი მოგზაური, რომელსაც ბედნიერი შემთხვევა მიეცა და ნილოსის წყალი იგემა, წერს: „მდი-


ნარე ნილოსის წყალს ისეთივე ადვილია სხვა მდინარეების წყლებს შორის, როგორც შამპანურს სხვა ღვინოებს შორის“. ეს შედარება ოდნავადაც არაა გადაჭარბებული. ნილოსის წყლით აღტაცებული არაბები ამბობენ: ჩვენი მაჰამედი*) ჯერ კიდევ ცოცხალი იქნებოდა, ეგვიპტელი რომ ყოფილიყო და ნილოსის წყალი ესვაო. ნილოსის წყალი შორს გადატანას უძლებს, არ ფუჭდება და არც კარგავს თავის სასიამოვნო გემოს. ცნობილია, რომ თურქეთის ზოგიერთ სულთანს ეგვიპტიდან გაჰქონდა ნილოსის წყალი და მხოლოდ იმას სვამდა.

ნილოსის წყალს სამკურნალო თვისებებიცა აქვს: ძალიან უხდება კუჭს და დაავადებულ ნერვებს.

აბისინიის შემდეგ მდინარე ნილოსს ძალიან ძნელი გზა აქვს გასავლელი; დიდი დაბრკოლებები უნდა გადმოლახოს და თვალუწვდენელი სიმაღლეებიდან დეშვას დაბლა. ამ მოუსვენარ მდგომარეობაში დაახლოებით ცხრაასი კილომეტრი უნდა გადმოიბინოს. ამ მთავორიან მხარეს უწოდებენ ნუბიის ქვეყანას, სადაც ნილოსს კიდევ უერთდება ერთი დიდი მდინარე, ე. წ. ათბარუ. ეს მდინარე ნილოსის უკანასკნელი შენაკადია. არსად ნილოსი ისეთი მოუსვენარი და მშფოთარე არ არის, როგორც ამ მხარეში. გზაში მისი მძლავრი ნაკადები ყველაფერს გლეჯს (მიწას, მცენარესა და სხვ.) და თან მიაქვს. ეგვიპტის მოახლოებისას ნილოსი უკვე წყნარად მოიბართება და თანმოტანილ მიწას ნაპირებს უტოვებს.

ნილოსი მსოფლიოში ერთერთი უდიდესი მდინარეა და სიგრძით, დასაწყისიდან ზღვამდის, ექვსიათას კილომეტრამდისაა. ის არსებითად ძალიან განსხვავდება სხვა მდინარეებისაგან. ნილოსი წლის განსაზღვრულ დროს იწყებს აღილებას და რამდენიმე დღის შემდეგ გამოდის ხაპრებიდან. ვისაც კი აღილების პერიოდში უნახავს ნილოსი, ის ამ სურათს ვერსოდეს ვერ დაივიწყებს: აღილებული ნილოსი თავისი საოცარი ნოქმელებით აღამიანზე წარუშლელ შთაბეჭდილებას ტოვებს.

როგორ იწყება და მიმდინარეობს ნილოსის აღილება? გავეცნოთ ამ საინტერესო სურათს.



მურჩისონის ჩაჩქერები.

*) მაჰამედი — მაჰამადიანთა წინასწარმეტყველი.



ურეუსი საბრძოლო მდგომარეობაში.

წარმოვიდგინოთ, ჩვენ შემთხვევით მოგვხვდით ეგვიპტეში, ვეჭვით, 17 იენისს (ამ დღიდან იწყება ნილოსის აღიდაბა). რასაკვირველია, ჩვენ გვინტერესებს ნილოსის აღიდაბის თვალყურის დევნება. მივეშურებით სანახავად. ვჩქარობთ, რომ არ დავიგვიანოთ. აი, ტოგორც იქნა მივედით და რას ვხედავთ: თითქმის ნახევრად დამშრალი, თითქმის უძრავია ნილოსი; კაცი ვერ შეატყობს საით მიიმართება. მისი ნაპირები ეგვიპტეს ცხარე მზეს დაუწყავს და ღრმად დაუხებთაქვს. ჰაერში საშინელი ბული და მიხაკისფერი მტვერი ტრიალებს.

მზეს დედამიწა ისე გაუხურებია, რომ აღმური ასდის და წითელ ბურთივით ვარვარებს. სიციხისაგან სუნთქვა გვიჭირს და თვალები გვეწვის. ვარშემო სანაირისებური სიჩუმეა. არსაიდან ისმის ხმაურობა.

აღამიანები, პირუტყვები, ფრინველები და ყველა სულიერი არსება მწვავე სიტხეს დამალვია და საღდაც შეუფარებიათ თავი...

ამ საერთო სიჩუმის დროს ნილოსი უცბათ იწყებს გამოცოცხლებას და მოძრაობას: ბობოქრობს და ამოღის ზევით. დახებთილი ნაპირები ნელნელა იღვება წყლით. გახურებული ჰაერი ოდნავ იწყებს ავრთლებას.

გადის საათები — და მდინარეში წყალი თანდათან მატულობს... უცბათ... ჰოი, საკვირველებავ: მდინარეში წყალი გამწვანდა! ეს ისე უცნოვ მოხდა, რომ ჩვენ აზრზე ვერ მოვდივართ. ჯერ გვეგონია, რომ მხედველობა გვატყუებს, მაგრამ ჩქარა ვრწმუნდებით სინამდვილეში.

ვიღებთ ჰქიპით და ესინჯავთ: წყალი მართლაც მწვანეა. გვინდა გემოც გავუსინჯოთ, მაგრამ როგორც კი პირთან ვიკარებთ, უცბათ ეიშორებთ: წყალს მწარე გემო და ცუდი სუნი აქვს. აშკარაა, რომ ჩვენთვის უცნობ ნივთიერებას წყალი მოუწამლავს და მწვანე ფერი მიუტია.

რაც დრო გადის, წყალი თანდათან სქელდება და მუქდება და მისი მოძრაობაც ძალიან მძიმდება. მიხაკისფერ ფერადობს შუა ნილოსი მწვანე ველივით ჩაწოლილა და ქვევით მძიმედ მიიმართება...

ჩვენ განცვიფრებას საზღვარი არ აქვს, როდესაც მეოთხე დღეს დილით ვხედავთ, რომ ნილოსს მწვანე ფერი კი აღარ აქვს, არამედ წითელი, სისხლივით წითელი! მდინარე ერთი-
პ ი რ ე მ რ ი

ორად მომატებულა და მისი ტალღები წითელ ენებივით ელვარებენ ამომავალი მზის სხივებზე... ვხედავთ ამ საოცარ სანახაობას და თვალს არ ვუჯერებთ. ნილოსი დამპული წითელი ვეშაპივით ბობოქრობს და დღევს, ნაპირებს გააფთრებით უტევს და ლამობს აწყვეტას... შუადღისას ნილოსი ერთი ღრმად ამოისუნთქავს და ნაპირებზე გადმოსკდება. თვალგადაუწყვენილი მზისაგან გადამწვარი ველები, მინდვრები და ყანები წითელი წყლის სივრცით იფარება.

მისწრაფის წინ ნილოსი და მიგორებს წითელ ზვირთებს... ზეცა სასევა აუარებელი ფრინველით, ნილოსს მოსდევენ და თავს დასტრიალებენ. მათი ჯივილ-ხივილით აღამიანის ყურთასმენა წაღებულა. ზოგი მათგანი წყალს ვაპკვრია და ისე მოფრინავს: ეტყობა, თევზებზე ნადირობს.

დროვამოშვებით წითელ ტალღებში მოუსხენარი თევზები ბრჭყეილა ზურგებს აჩენენ. ზოგი მათგანი ცდილობს ტალღებს გადაახტეს, მაგრამ გაუფრთხილებლობის მსხვერპლი ხდება: ფრინველებს კლანქებში უფარდება.

აი, ტალღებს აფრიკის მახრჩობელა გველი ურეუსი აუთრევია და მოაგორებს; ამაოდ ცდილობს ნაპირზე გაცურვას. მის უკან, ათი მეტრის დაშორებით, ნიანგების ჯოგს თევზებზე ნადირობა გაუმართავს. ჩქარა მათ ერთი უზარმაზარი ნიანგი გამოეყო და დაწინაურდა: აშკარაა, ურეუსი შეამჩნია. ერთ წამში მასთან გაჩნდა, და რომ მსხვერპლი არ გააქცეოდა, უკან დან და მოუკურდა. მაგრამ ფრთხილმა ურეუსმა იგრძნო მტრის მოახლოვება, ელის სისწრაფით შემოუტრიალდა და მის წინ ქედმოხრილი საბრძოლველად აიპართა. მაგრამ რა მტრის საზარლად დაღებულ ხახს და ხერხის მსგავს აღმასის კბილებს შეავლო თვალი, შებრძოლებას გაქცევა ამჯობინა. ყალყზე შემდგარი



იბისი.

ნიანგს თავზე გადაახტა და თვალწინ კუდი აუთრია. ნიანგმა არ დაუყოვნა და პირი გააღო, მაგრამ მსხვერპლის მაგივრად წყალი დაიქირა. ურეუსი მოხერხებულად გაუსხლტა და ისარივით გაცურდა გვერდზე. ნიანგი სწრაფად შემოტრიალდა და გაქცეულს დაედევნა. ურეუსმა უკანასკნელ ხერხს მიმართა — წყალში ჩაყვინთა. ნიანგიც თან ჩაჰყვა...

ჩქარა კულმოკრილი ურეუსი წყლის ზედაპირზე გამოჩნდა. იმავე წამს ნიანგმაც თავი ამოყო და, რა მსხვერპლს თვალი შეაეღო, დაფაცურდა... ერთი წამიც — და ღონემინდილი ურეუსი აღმა-

სის კბილებში უნდა მოიგდოს. მაგრამ დროით მის უბედურებას: უეცრად ნიანგს ზურგედან ვეება ურინველმა იბისმა***) წამოუტყრო. ნიანგმა წინ აართვა მსხვერპლი და ერთ წამში პირში აიტაცა.

მოულოდნელობამ ნიანგი დააფრთხო, გულგახეთქილი უკან მიაწყდა და მოკიშპეს ქვეშიდან ცალი თვალით ახედა. ერთხანს გახევებული მისჩერებოდა, თითქოს მსხვერპლის დაკარგვის ნანობსო, ბოლოს მიტრიალდა და პირში ჩალაგამოვლენილი წყალს მძიმედ გაჰყვა.

წ. მარიანიშვილი

რომან როლანი



რომან როლანი თავის სახლში.

რომან როლანი საფრანგეთის უდიდესი თანამედროვე მწერალია, დიდი რომანისტი. მარტო ერთი მისი რომანი „თან კრისტოფი“ ათი წიგნის ოდენაა. მას მრავალი რომანი, მოთხრობა და წერილი აქვს დაწერილი. ბურჟუაზიისა და ფაშისების საშინელი მტერია.

*) ურეუსი — ეგვიპტური სახელია.

**) იბისი — დიდი, მტაცებელი და გულადი შავი ფრინველია.

როლანი თავიდანვე საპკოთა რუსეთის მეგობარი იყო. რამდენჯერმე ესტუმრა კიდეც საპკოთა რუსეთს.

ის რუსეთის დიდი მწერლის მაქსიმ გორკის პირადი მეგობარია. შარშან, ზაფხულში, თენახევარი მაქსიმ გორკისთან იყო სტუმრად, მოსკოვიდან 45 კილომეტრის დაშორებით, აგარაკ გორკაში.

ფიქნარითაა დაფარული ეს მშვენიერი აგარაკი. საქართველოს ეთნოგრაფიული გუნდი, ვ. აკოპიას ხელმძღვანელობით, გაემართა აგარაკ გორკაში.

შურდულივით მიქროდა ჩენი აეტობუსი ახალტრებულ გზატკეცილზე.

როცა ეზოში შევსრიალდით, აივანზე გამოჩნდა ორი დიდი მწერალი — გორკი და როლანი, — ორივე მალალი, ახოვანი, მხარბეკიანი.

მწერალს ძალიან მოეწონა ჩენი ნაციონალური ტანისამოსი — ჩოხა და ჩაქურა, კარგად დაგვათვლიერა.

— გაბსაკუთრებით საინტერესო იქნება თქვენი სიმღერები სტუმრისათვის, ის დიდი მუსიკოსია, — გვითხრა გორკიმ და დარბაზში შეგვიძღვა.

როლანი მუსიკის პროფესორია. ის ახალგაზრდობაში ლექციებს კითხულობდა მუსიკის ისტორიიდან საფრანგეთის ერთერთ უმაღლეს მუსიკალურ სასწავლებელში.

მაშინვე შენიშნა ქართული ხალხური სიმღერების მგლოდიურობა და სიღამაზე.

— თქვენი კახური სიმღერები მელოდიუოია, მგერული ლირიკული, ხოლო გურული იმდენად რთული და კონტრაპუნქტული, რომ ბევრი დიდი კომპოზიტორიც კი ვერ შეთხზავდა უკეთეს რამეს, — გვითხრა მან კონცერტის შემდეგ.

როლანს ძალიან მოეწონა გურული და სვანური ფერხულები და ცეკვები: ლეკური, კინტაური და აფხაზური, რომელიც შეასრულეს კომკავშირელმა მოცეკვავეებმა: სიხარულიდემ, ჩახავამ და გარუჩავამ.

— თქვენი ხალხური ნაციონალური კულტუ-

რის ახლო გასაცნობად სხვა დროს აღსანიშნავად ჩამოვალ საქართველოში, — შეგებობდა მწერალი.

რომენ როლანს 29 იანვარს შეუსრულდა 70 წელი, მაგრამ, მიუხედავად მოხუცებულობისა, ის დღესაც ახალგაზრდული გაცატებით განაგრძობს წერას და მშრომელი ხალხისათვის მოღვაწეობას. ის არის ფაშისტების წინააღმდეგ მებრძოლ მწერალთა გაერთიანების თავმჯდომარე და წინამძღოლი.

ლალო გვამამორი

მამალი და მალი

(ზღაპარი, ჩაწერილი გურიაში ნინო ნაქაშიძის მიერ)

მამალს დასაქვრად გამოეციდენ, სადილად უნდა მოეხარზათ. გაიქცა მამალი ტყეში.

მიდის და წინ კურდღელი შემოეყარა.

— გამარჯობა, მამალო! სად მიდიხარ?

— ამხანავს ვეძებ.

— მოდი, ჩემი ამხანავი იყავი, — უთხრა კურდღელმა.

— შენ კაცის გეშინია?

— მეშინია, — მიუგო კურდღელმა.

— არა, მე ისეთი ამხანავი მინდა, რომ კაცის არ ეშინოდეს, — უთხრა მამალმა და გაუდგა გზას.

მიდის მამალი და შემოეყარა დათვი. გაეხარა და დათვს: სადილად გამომადგებაო, და ჰკითხა:

— გამარჯობა, მამალო! სად მიდიხარ?

— ამხანავს ვეძებ.

— მოდი, ჩემი ამხანავი გახდი.

— შენ კაცის გეშინია?

— მეშინია.

— არა, მე ისეთი ამხანავი მინდა, რომ მისი კაცს ეშინოდეს, — უთხრა მამალმა და გაუდგა გზას.

მიდის მამალი და შემოეყარა მგელი. გაეხარა და მგელს: სადილად გამომადგებაო, და ჰკითხა:

— გამარჯობა, მამალო! სად მიდიხარ?



მიდის მამალი და შემოეყარა დათვი.

— ამხანავს ვეძებ.

— მოდი, ჩემი ამხანავი გახდი.

— შენ კაცის გეშინია?

— მეშინია.

— არა, მე ისეთი ამხანავი მინდა, რომ კაცს ეშინოდეს მისი, — უთხრა მამალმა და გაუდგა გზას.

მიდის მამალი და შემოეყარა მელია.

— გამარჯობა, მამალო! სად მიდიხარ?

— ამხანავს ვეძებ.

— მოდი, ჩემი ამხანავი გახდი.

— კაცის გეშინია?

— კაცის? ვინ არის კაცი? რა არის კაცი?

— კაცი არ იცი?

— არასოდეს არ მინახავს. კული აქვს?

— არა.

— სირბილი იცი ჩემისთანა? აბა მიყურე!

მელიამ ასწია კული ბაირადივით და გაიქცა.

— არა, შენისთანა სირბილი არ იცის, კაცს ორი ფეხი აქვს.

— ორფეხა, უკუდო! აბა რა საშინაია! — გაიცინა მელიამ.



მიდის მამალი და კურდღელი შემოეყარა.



ძმობილო, მანდ ხეზე შეგცივდება, ძირს ჩამოდი.

- მაშ შენ, შენ შეგიძლია კაცი შეაშინო?
- რას ლაპარაკობ, მე რომ კუდს დავატრიალებ, ლომს ეშინია და კაცს ვერ შევაშინებ?!
მაშას გაეხარდა და დაეძმობილა.
- აბა წავიდეთ ახლა და კაცი შევაშინოთ, რომ ვეღარ გაბედოს ქათმების ჰამა.
- რა გაჩქარებს, მე თვითონ გიტყვი. როდის შევაშინოთ, ჯერ დავისვენოთ.
- წავიდენ ძმობილები და დაიწყეს ერთად ცხოვრება. მამალი ხეზე იძინებდა, მელია კი ძირს, ხის ფულუროში.
- ერთ წვიმიან დღეს მელიამ უთხრა მამალს:

— ძმობილო, მანდ ხეზე შეგცივდება, ძირს ჩამოდი, ფულუროში დაესხდეთ, თბილადღე ვიტყვი და მოვილაპარაკოთ, როდის შევაშინოთ ის სამაგელი კაცი, ქათმებს რომ ჰამს.

მამალი ჩამოვიდა ფულუროში. მელიამ უთხრა:

— ძმობილო, ძალიან მშობა და ერთი ფეხი მითავაზე, უნდა შევამო, თორემ შიმშილი მომკლავს და კაცს ვეღარ შევაშინებ.

დაიღონდა მამალი, ხედავს, რომ მელია შექმას უპირებს, მოაგონდა ეზო, სადაც გაიზარდა, მოაგონდა ამხანავი ქათმები, რომლებსაც ასე უყვარდათ მამალი, და უთხრა მელისა:

— არ მოველოდი, რომ შემკამდი, მაგრამ რა გაეწყობა. მხოლოდ ვთხოვ ცოტა იქით მიიწიო, მინდა სივდილის წინ ერთი ვიმღერო.

— კარგი უთხრა გახარებულმა მელიამ და სულ ცოტა მიიწია, რომ მამალი არ გაქცეოდა. მამალმა დაძაბა კისერი და რაც ძალი და ღონე ჰქონდა დაიყვირა:

— ყიყლიყო!

თურმე, სწორედ ამ დროს პატრონი დაეძებდა მამალს და „ყიყლიყო“ რომ გაიგონა, გაიქცა ფულუროსაკენ.

— ვაი, კაცი!— დაიძაბა მელიამ და მოინდომა გაქცევა, მაგრამ კაცი მოადგა ფულუროს, სწვდა ფეხში მელისს, დაიქირა, შეკრა და მხარზე გადაიგდო. მამალიც ხელში დაიქირა და შინისაკენ გასწია.

— ძმობილო, მელია, — უთხრა მამალმა, — აქი კაცი არასოდეს არ გინახავს, როგორ იცანი?

— სულ შენი ბრალია, შე ბრიყვო, კაცის ვის არ ეშინია, მაგრამ შენ რომ არ დაგყვივლა, ვერ მოგეაგნებდა! ახლა წაგყვივანს და შეგკამს.

— ჰე, რა გაეწყობა! შენ აქ ფულუროში შემკამდი და კაცი კი სტუმრებს მაინც დაპატივებს, დიდ დარბაზში წვეულებას გამართავს და ყველა ვაივებს, როგორი მამალი ვიქავი.

— ყოჩაღ, მამალო! კარგი მელიაც დამაქირინე და თვითონაც კარგად გასტუმრულხარ, — თქვა კაცმა და მზიარულად გასწია შინისაკენ.



გეოსართობი



იკოპეტ იხვი


ამ მისახვევ-მოსახვევებში საღდაც დაიკარგა ერთი მსუქანი იხვი. ვინც იპოვის, შეუძლია შეწევას და მიირთვას.

აუცილებლად იპოვი, თუ მოახერხებ ლაბირინტში შესვლას, გზის გაკვლევას და უკან გამოსვლას.

აიღე რბილი ფანქარი, შედი ქისკარში და მიჰყევი გზას. ხაზების გადაჭრა არ შეიძლება, არც ერთხელ მოვლილი გზის ხელმეორედ გავლა.

როდესაც სწორ გზას იპოვი, კარგად დახაზე ის და შენ მიერ განვლილ გზას ფერადი ფანქარი შემოაყოლე.

მაშინ მშვენიერად დაინახავ იხვს. აბა სინჯე!



გეგოსანა

ჩასვით ამ კვადრატის ყველა უჯრედში ისეთი ციფრები, რომ შეჯამებისას, როგორც ვერტიკალურად, ისე ჰორიზონტალურად და ჯვარედინად, იძლეოდეს ჯამს 15-ს. ასეთი ჯამი 12-ჯერ მიიღება.

1	2	3	4	5
5				
3				
4				
2				

№ 1-ში მოთავსებული გეგოსანების

ე ს ს ნ ე

1. მეხანძრეთა რაზმი.
2. ხულ იყო სამი ბატი.
3. სახელი.
4. ამბავი მართლაც მოგონილია, რადგან თუ სტეფანე მოკვდა, მის სიწმარს ვინღა იტყოდა?

მერცხალი

მუსიკა ზ. კოკელაშვილის

სიტყვები შ. მღვიმელისა

ქართული

მე პა რი ა შერ უხა-
 ლო ვარ მო ტიბ ტი ბე შო ა ლერ სე
 სე ტა ვა რა ლა გა შა ვა ქვეს მიშ
 მის ვარ შა ტო სე სე

სიყვარულით, სიხარულით
 მთები, ზოიები ვაღმოვლენ,
 მინამ შენთან მოვიდოდი
 ერთხელაც არ დავიკვნესე.

შორით თვალენ მიკაცინდი
 ცის ლაქვარდში ვსრიალებდი,
 ვჭიკჭიკობდი, შეგამოხდი,
 სულ შენ შემოგტრფილებდი.

ცხრა-მთა გზიდან მომავალა
 მოჭინცული, მოღალულა,

დაბლა-დაბლა ვეშვებოდი
 შენ გეძებდა ჩემი გული.

აი მოველ, დაგინახე,
 გულში ია ვარდი ვთესე,
 ავჭიკჭიკდი უფრო ტკბილად,
 ხმები გავიუქეთესე.

გეფიცები და-ძმობასა,
 მხოლოდ ახლა დავიკვნესე,
 არ ვრცხვენია, უმიზნოდ
 ქვეს რომ მესვრი ბიჭო, სესე?!